

ქველ-მომავალი

ლევან, პეტრე და იაკობ პოლიტიკურის-ც

ზუგალაგვილები

აღწერილი და დაბეჭდილი

ზ. ჭიჭირნაძის-მიერ.

ტფილისი.

სტამბა ქ. სედაძის, რუსის პაზარი, სახლი სომხის სას. სემინ.

1905.

116672066672668

Дозволено цензурою, Тифлісь, 4 іюля 1905 года.

ლევან, პეტრე და იაკობ კონსტანტინეს-ძე ზუბალაშვილები.

ქველ მოქმედება—ზუბალაშვილების გვარის წევრთ შორის ძველადგანვე ყოფილა აღორძინებული. ამის მცნებას მათ წინაპართ გვარის წევრნი მკაცრად მისდევდნენ და ასრულებდნენ. ასეთ საქმეებით იგინი ცნობილი იყვნენ საქართველოში ყოველგან და ყოველთვის ყველას წინაშე. არ იფიქროთ, რომ ამას მარტოდ მე ვამბობდე, არა, ამის მოწამეა მთელი წარსული ამ გვარისა და მათ თანა მედროვე ბრძენებრუნველნი და მათ განაკეთილი საქმენი. საქმეთ კეთების მიმდევრობას, აწმყოც უჩტკიცებსთ.

ამათ ასეთ ღირსების შესახებ შორს არ წავალთ, მოვიყან მხოლოდ შემდეგს: ზუბალაშვილების გვარის წევრთა ქველ-მოქმედება პირ ნათლად აღიარა ვინმე მესხმა თავის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში და დააბოლავა ასე: უქაველია ამ საგვარეულო მცნებას, ამ დიადს მიმართვას, რასაც კი სტეფანე კან-სტანტინეს-ძე ზუბალაშვილის წინაპარნი ადგნენ, ამას არც სხვები დაიგიაწებენ და მამა-პაპათა ნაანდერძევ მცნებას შეურეველად და სუჟთად დაიცავენთ. ასეთ მაგალითების მე სხვებსაც მოვიყვანდი, მაგრამ იქ ესეც ვიქმარედ, რადგანაც ამათ შესახებ ეჭვი არ არის და ყოველივე მართალს წარმოადგენს.

ქველ-მოქმედებით ესენი სიკეთეს სთესდნენ ყველას წინაშე განურჩევლად სარწმუნოების და ეროვნების, შაინც ქართველი კაცი ქველადგან განურჩეველი მეპურმარილე იყო და მთავაზებელი ყველასი. ესენიც ასევე იყვნენ და ასათ სიკეთე და ქველობა იმითიც ფართოვდებოდა, რომ იგინი ხში-

რად თავიანთ ამავს არ აკლებდნენ თვით ისეთ გლეხებთაც: რომელთაც მთავრობისაგან ხარჯის გამო შეწუხება ადგათ. ასეთ საქმეთა გამო დავასახლებ მხოლოთ რამდენსამე მაგალითს.

ზუბალაშვილების გვარის შევრნი ძველადგანვე ათავისუფლებდნენ საბატონო ყმებს მონებისაგან თავიანთის ფულით და სტოვებდნენ თავისუფლად.

გლეხებს ხშირად აძლევდენ ერთას ადგილიდამ მეორე ადგილას გადასატანათ მთავრობისათვის პურსა და სხვა ასეთ საგძალო. ვისაც საურმე შეძლება არ იქნება, იმ გლეხს წინათვე უწყობდნენ ხარ-კამეჩს, ურემს და საქირაო იარალს. ასეთ საქმეებს ესენი ხშირათ აძლედენ გლეხებს, რაღანაც ფოდრაობსაც ხშირად იღებდნენ, ამას გარდა იყვნენ დიდი სოფლაგრებიც.

სადაც კი სახელმწიფო შენობებს აგებდენ, სამუშავოდ ყველან ქართლის გლეხ-კაცნი მიჰყვანდათ და ამუშავებდენ. მათ ბევრი გლეხი შეაჩვიეს მუშაობას, შინიდამ კარში გასვლას, რაც წინეთ ქართლელი გლეხისათვის ერთობ ძნელი იყო მონების გამო.

ესენი ეხმარებოდენ ეკკლესიებს, მათ შენებას, ამაზგან ბევრს საყდარს მიეცა დახმარება, ასევე ღარიბ სამღვდელო პირთ, რასაც ასაბუთებს ბათუმის ეკკლესიის აღგება, მონთობანის ეკკლესიის აღგება, თფილისის ძველ ეკკლესიის განახლება, მეორე საყდრის (კუკია) აშენება და სხვანი. ამის მაგალითთა ნიკოლოზ გიორგის ძე ზუბალაშვილი, სტეფან-კონსტანტინეს-ძე ზუბალაშვილი და ამისი ძმები ლევან, პეტრე და იაკობ კონსტანტინეს ძენი.

სკოლებს აძლევდენ დახმარებას ყვოველთვის და ყოველგან. განურჩევლად სარწმუნოების და ეროვნების. ამასვე ასაბუთებს ზემოხსენებულ პირთა საქმენი და მათგან დატოვებული შეძლება თფილის სკოლებისათვის, გორის, ხიზაბავრის, ბაქოსი და ბევრიც სხვების. სტეფანემ, ლევანმა, პეტრემ

და იაკობმა დიდი დახმარება მისცეს თფილისის მუსიკალურ სკოლას, 10,000 მან. შესწირეს შენობისათვის. ასევე გულ-წრფელად დაეხმარნენ ქართველთა თავად-აზნაურთა სასწავლებლის შენობას და გადასცეს დიდი დახმარება.

აძლევდნენ დახმარებას სხვა და სხვა მოსწავლეებს, როგორც დაბალს და საშუალო სასწავლებლებში, ისევე უმაღლეს სასწავლებელშიაც, ამათის ცდით ბევრს მიუღია საშუალო და უმაღლესი სწავლა. დღეს ამათგანი ზოგი მკურნალია, ზოგი ვექილი, ინჟინერი და სხვანი. დღესაც ამავე მცნებას ადგანან ზემოდ ხსენებულნი პირნი და ერთის სიყვარულით ემსახურებიან როგორც ქართველს, ისევე რუსს, სომებს და თათარს. ასეთი პატივი მათი საგვაროვნო მცნება იყო და არის კიდევაც დღეს.

ყოველთვის და ყოველვან ამათი შინაპარნი ქომაგნი იყვნენ მუშა ხალხის და ხელოსნების. ამათგან არვინ შეწუბებულა არას დროს, ამასვე ასაბუთებს ბაქოში მათს ქარხანაში მუშებისთვის მაწყობილი საკეთილო საქმენი, რასაც მრავალნი ამტკიტებენ უჩვენოთაც და რის ნიშან წყალიც გახლავთ თვით იაკობ კონსტანტანეს ძე ზუბალაშვილის მცნება და სიტყვები რაც ჩვენ სხვაგან განვმარტეთ.

საგვაროვნო და ძევლ ნაშთთა შეკრებას და შენახვას ისე აფასებდენ რომ ჩვენ „შერა-კიოთხვის სამართველოს“ ორ. ჯერ მისცეა კაი დახმარება და სხვასაც პპირდებიან, რასაც აქ არ მოვიხსენებთ, რაღანაც ეს მომავალს ეკუთვნის. ის კი უნდა ითქვას, რომ ოდესმე ამ საზოგადოებას თავის საკუთარი საღვომი ბინაც უნდა გაუკეთდეს, თორემ ერთობ ძნელი იქმნება, დიდი საუზჯეა აქ შეკრებილი და მას თავის შენობა კი არა აქვს. ყოველთვის ხიფათში უნდა იყო გაბმული მისი არსებობის საქმე. ამას დიდი ყურადღება უნდა მოექცეს.

ხალხისათვის სახალხო შეერლობას ისე აფასებდენ რომ ამისთვის აძლევდენ სხვა და სხვა პირთ დახმარებას და აძლევნ კიდევაც. დიდს მნიშვნელობას აძლევენ უურნალაგაზე-

თობას და ამისთვის დახმარებასაც აძლევდენ და აძლევენ კიდევაც. ჩვენ აქ ყველა ასეთ გამოცემათა სახელებს ვერ მოვთვლით. დავისახელებთ მხოლოდ, რომ „მოგზაური“ ასა-თის დახმარებით არსებობდა, თორემ აქამდე წელში გაწყდე-ბოდა. ასევე „კვალსაც“ დაუნიშნეს ერთ დროს თვეში 250 მან. რაღაცანაც შეიტყეს შეუძლებლობა რედაქციისა. მა-გრამ „კვალი“ ლილხანს არ დარჩა, დაიხურა და მხოლოდ სამი თვის ფული მიიღეს.

საქართველოს მნიშვნელობას აძლევენ საქართველოს შესწავ-ლის მეცნიერულად და ამატომ ამაოგან შესდგა წრე, რო-მელმაც უნდა იმუშავოს საქართველოს მეცნიერულის ენცი-კლობელის შედგენაზედ და გამოცემაზედ არა მარტო ქარ-თულს და რუსულს ენაზედ, არამედ ფრანგულზედაც კი თუ-კი ეს საჭირო იქნება. ამ შრომის ორ კრებას დავესწარი, ვნახე და უნდა იოქვას რომ ენციკლობელის მშრომელთ შორის მოყოლებულნი არიან ყველა ის ქართველნი რომელ-თაც კი უმაღლესად განათლება მიუღიათ, გონიერივი შემძლე-ბლობა მოსწევთ შრომისა.

თვით «ცისკრის» გამომცემელ ამხანაგობაც კი ამათ გვერ-დით დაირსდა. დიდს მნიშვნელობას აძლევდენ საქართველოს ეთნოგრაფიის და ისტორიის, ნამეტურ ქართველ კათოლიკ-თა, მაპმიდიანებთ, ებრაულ და გრიგორიანებთა ანუსევასაც. იაკობ კონსტანტინეს ძემ დიდი დახმარება მისცა «კავკაზიკი კრის», «ივერიას», თითქმის მეფეური ძალა, რითაც გაზეოთ უქმნედ დადგა, თორემ მას უბედური ხიფათი მოელოდა, დღეს «ივერია» რაც არის, ეს ყველასთვის ცხადი არის. არ დავისახელებთ სხვა გამოცემათა, ვიტუვით კი მარტოდ, რომ ამ ბოლოს დროს, თვით იაკობ კონსტანტინეს ძე ზუბალა-შვილმაც აიღო ნება-როგო რუსულს ენაზედ გაზეთ „ზაკავკა-ზიეს“ გამოცემის უფლება, უცენზუროთ, ეს პირველი მაგა-ლითია ჩვენში. ამიტომ ამას შესაფერი ისტორიული მნიშვნე-ლობა მიენიჭება კავკასიის მწერლობის ისტორიაში,

რუსულ გაზეთის გამოცემა ჩვენთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, მთელ რუსეთში და საქართველოშიც არა გვაქვს ერთი რუსული გაზეთი, მართალია ადრე კი გვქონდა „ობზორი“ ნ. ნიკოლაძისა, „ტფილისის ვესტნიკი“ ერთხნობით და „ნოვოე ობზორნიკი“ ვიდრე თუმანიშვილები იყვნენ. დღეს კი ყოველივე მოშლილია და ერთი რიგიანი ორგანოც არა გვაქვს. არხეოლოგიურს გაზეთს ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს. ამიტომ სრული მომიქედვი ვართ, რომ იაკობ კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილის გაზეთი ჩვენს ტომს დიდს სამსახურს გაუწევს, იგი მკაცრი მოსარჩევე იქმნება. ჩვენის ტომის და არავის უბრალოდ არ დაუთმობს, ურიგოდ არც სხვათა პიროვნებას და გვაროვნებას შეეხება, რადგანაც როგორც ვიცით, გაზეთი თითქმის ამისათვის არსდება და თვით იაკობ კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილის მცნებასაც ის შეადგენს, რომ მან თავის გაზეთით კავკასიის მცხოვრებთა შორის სუფთა ძმური სოლიდარობა იქადაგოს, კულტურულათ და კივილიზაციით უმაღლესად დაწინაურება, ამაღლება, განათლება, რაც დიდს საჭიროებას შეადგენს კავკასიის მცხოვრებთათვის. კუსურვებთ ამიტომ ასეთ საჭმისთვის დიდს ნაყოფს და სამსახურს, წარმატებას და ოლორძინებას, როგორც ეს პირველი მაგალითია ზუბალაშვილების გვარიდამ.

დიდს მნიშვნელობას აძლევენ ხალხისათვის დროს გასატარებელ შენობის აგებას და აგერ მაოგან თფილისში აღშენდა მშვენიერი სახალხო სახლი, სახალხო თეატრი, სადაც მუშა და ხელოსან კაცს თავისუფლად შეეძლება რომ მივიდეს, ერთობ იაფათ იყიდოს ბილეთი, თვით თავის ცოლშვილიც მიიყვანოს და მოისმინოს კარგი წარმოდგენი. ეს მაგალითი თფილისის მუშა და ხელოსანთაგან დაუვიწყორი უნდა იქმნეს, რადგანაც აწინდელ პატარა თეატრში კაცი ვერც შევიდოდა, ცოლ-შვილს ხომ ვერვინ მიიყვანდა, შენობა სოროს ჰევავდა, დღეს კი თფილისის მუშებს და ხელოსნებს აქვთ მშვენიერი თეატრი სადაც თავისუფლად შეძლე-

პათ მისცლა თვით კოლ-შვილით, კარგს ალაგებზედ დაჯდო-
მა, ისიც იაფად და მოსმენა სასარგებლო წარმოდგენის. თე-
ატრალურის საქმეებთა ამაგით ზუბალაშვილები ადრევე არი-
ან ცნობილნი. თვით დღევანდელ თფილისის სახაზინო თე-
ატრიც კი ამათეულ ალაგზედ სდგას. მთლათ ეს ალაგი ად-
რე მათ საკუთრებას შეაღენდა.

ქართველთა და ქართველთ სამღვდელოთა წინაშეც დი-
ლი ამაგი მიუძღვით. დღევანდელი თფილისის ქართველთ სე-
მინარის შენობა ზუბალაშვილების აღშენებულია. 1830 წ.
აქ მოიპატიუეს რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ პავლეს ძე.
საღარბაზოდ იმ დროს ეგზარხეც მიიწვიეს. ეგზარხოსმა შე-
ნობა რომ ნახა ძრიელ გაკვირდა, ნამეტურ ის დარბაზი სა-
დაც დღეს სემენარის ეყვლესია არის მოთავსებული. მთე-
ლი შენობა მდიდრულათ იყო მორთული. ყველა გაცკვირდა
თურმე და თვით მოგზაური ბატანიკი კოხეც, რომელიც
დარბაზობას დაისწრა ზუბალაშვილის სასახლეში. იქვე სა-
ქართველოს ეგზარხოსმა ზუბალაშვილებს ამ შენობის სემენა-
რიისთვის დამზმაბა სთხოვა, მისყიდვა. ზუბალაშვილებმაც დი-
დის სიამონებით დაუთმეს და იმოდენი შენობა იაფად მიპ-
ყიდეს. თითქმის ნახევარ ფასად. ეს მაგალითი ქართველ სა-
მღვდელოებას კარკად უნდა ახსოვდეთ.

ამ გვარის წევრო ყოველთვის დიდი ყურადღება აქვნ-
დათ მიქცეული შეუძლოთა, ღატაკთა და სნეულთა მდგო-
მარეობაზედ. ამ მაგალითს ცხადათ ასაბუთებს ის გარემოება,
რომ ნიკოლოს გიორგის ძე ზუბალაშვილმა ქალაქს ფუ-
ლად დაუტოვა 60 ათასი თუმანი, მასთან სხვა სახსარსიც
და ამით ითხოვა ქალაქ თფილისში ღატაკთათვის სამათხოე-
რო სახლის აღგება, რაც უკვე კეთდება თაწმინდაში. ასეთი
სამაგალითო საქმეთა სრული ნიშაუშა და მოწმობა არის ბ. ა.
თუთაშვილის ლექსი, სადაც ქებით არის მოხსენებული
ელისაბედ მიხეილის ასული ზუბალაშვილისა, დედა აწინდელ
ლევანის, პეტრე და იაკობ კონსტანტინეს ძეთა, რომელი

ქალიც თურმე გორში ღარიბებს და ღატაკებს სამთელივით ევლებოდა, ცის მანანასავებ და თავის შექლების და გვარად ეხმარებოდა. ამას მე არ ვამბობ არამედ სხვანი და მეტად მრავალნიც. ასეთი შესანიშნავნი იყვნენ ამათ წინაპარნი და ამასვე ადგა სტეფანე კონსტანტინეს ძე და დღეს ამის ძმებიც *).

ხალხის ჯან მთელობას და მათ სწერულებას, ნამეტურ ბავშვებისას, რაც უკვე ჩვენ ცალკე ავნუსხეთ და აქ არას ვიტყვით, დიდი ყურადღება მიაქციეს და იაკობ კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილის მეთაურობით ქალაქის გამგეობას გადაეცა 100,000 მან. თფილისში პატარა ბავშვთა საავადმყოფოს დასაარსებლად. ჩვენ დროში, უნდა ითქვას რომ მეტად დიდი საქმე უნდა იყოს თფილისის მუშების და ხელოსნების წინაშე. რადგანაც მათში ყმაწვილები ერთობ ხშირად და უმწეოთაც იხოცებიან. ეს მათთვის დაუფასებელ განძათ უნდა ჩაითვალოს, ნამეტურ მათის შეუძლო ოჯახისათვის, რომელთაც საყმაწვილო მკურნალებთან მისავლის შექლება სულ არა აქვთ. მათში დიდი ძალი იხოცება ყმაწვილების უმწეოდ.

იაკობ კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილმა რამდენჯერმე ფული გადასცა თფილისის გამგეობას საალტგომოთ და საახალწლოდ ღარიბებისათვის დასახმარიდ და დასარიგებლად სალღესასწაულოდ. მათის გვარის წევრთაგან სვეტისაც ხშირად გაულიათ ღარიბებზედ დახმარება რის მაწამეც იყო აღრინდელი კათოლიკეთა სკოლის მასწავლებელი იაკობ ლაზარეშვილი და დღევანდელი მასწავლებელი გ. ქიქოძე, რომლის სიტყვა ჩვენც დავბეჭდეთ სტეფანეს „მოგონებაში“.

სხვა და სხვა ქველ-მაქმედებათა ცნობების მოყვანით თავს არავის შევაწყენთ, აქ მოვიყვანეთ რამდენიმე მაგალითი, რამდენიმე საქმე, რომელნიც ცხადათ ასაბუთებენ ჭეშმარიტს

*) „კალენდარი“ 1904 წ. და „მოგონება“ სტეფან კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილისა. 1905 წ. თფილისი,

საქმეთა ცნობებს. ივნიშნავთ კი კვალიალ მასაც, რამ ეს ჩვეულების და გვარისშვილნი დღეის შემდეგაც ჩვეულებრივ მოიქცევიან, იგინი თავიანთ წიაღს ბევრს საზოგადო და გა-ჭირვებულთ საქმეებსაც ხშირად მიუძნიან. ამის ენერგია შე-სწევთ მათ. მათ უყვართ ხალხი, იგინი კარგათ გრძნობენ ხალხის პატივისცემას, ხალხის სამსახური მათ დიდ მცნებათ მიაჩნიათ და ამიტომაც გახლავთ რომ ეს მაღლიანი გვარის-შვილებიც ხალხს არ ივიწყებენ. ხაღლშაც იცის ის მათი ასე-თი სიკეთე, მათი ამაგი და მიტომაც მათაც კარგად გამოა-ჩინეს თვისი მწუხარება და გულის ტკივილი, როცა სტეფა ნე კონსტანტინეს ძის გვამი თფილისში მოასვენეს და ასაფლა-ვებდენ. მუშა ხალხმა დიდი პატივი აფო მუშათა ცნობიერე-ბის გამო.

რა უგანაც ასეთ საქვეყნო და თან მეტათ სიმპატიურ სა-ერთო საქმეებთა გამო ვისაუბრებთ, ამიტომ ახლა აქედამ მოვიყან მცირე ცნობებს იმ პირთა ცხოვრებისას, რომელთა წინაპარნიც ცნობილნი იყვნენ ქველ-მოქმედებით.

სხვა და სხვა პირნი.

იაკობ ივანეს ძე ზუბალაშვილი. ქველ-მოქმედებით ცნო-ბილი თავიანთ დროს. დ. 1792 წ. † 1864 წ.

გიორგი ივანეს ძე ზუბალაშვილი. ცნობილია ასევე. დ. 1783 წ. † 1864 წ.

ნიკოლაიზ გიორგის ძე ზუბალაშვილი. ცნობილი გვამი და ქველ-მომქმედი. თავის დიდი შესძლება მან დაუტოვა ქ. თფი-ლისს, ლარიბთა სასარგებლობა. ამაზე ვწერთ ზემოა. 1820 წ. † 1898 წ.

გთხისტანტინე იაკობის ძე ზუბალაშვილი. დ. 1829 წ. † 1901 წ. მამა ქველ-მომქმედ სტეფანე, ლევან, პეტრე და იაკობ ზუბალაშვილებისა. იხილე ამ წიგნში.

როგორც ზემოთაც ვთქვით გაკვრით, ზუბალაშვილების

გვარში, მამა კაცებთა შორის, ხშირად ქალებიც იყვნენ ისე-
თის თვისების და ღირსების, რომელთაც ხალხის სიყვარული
გულმი მტკიცეთ აქენდათ მოზღვავებული. ასეთი ქალები,
ასეთი დედანი ამ გვარში არა მარტოდ მათ ჰთამიმავლობა-
ში ჰქონია ადგილი, არამედ, ისეთ ქალებშიაც, რომელნიც
ზუბალაშვილებში რძლათ მოსულან. ასეთია მავალითებო
ელისაბედ მიხეილის ასული თავ. თუმანიშვილისა. მეულლე
კონსტანტინე იაკობის ქვე ზუბალაშვილისა, დედა განსვენე-
ბულის სტეფანესი, რომელიც იყო დიდი სათხო. ეს
მანდილოსანი თავის თვისებით და ადამიანობით დიდათ ქე-
ბულია თავის ღრუს და ქველ-მოქმედებით ცნობილი. მისი
ამავი ბევრს ახსოვს დღესაც და ყველა ქებით მოიგონებს, ამ
პატიოსანი დედის ამაგს დიდი მნიშვნელობა უნდა მიეცეს
შვილების რიგინად აღზრდასა და გაწურთვნაში.

სტეფანე კონსტანტინე ქვე ზუბალაშვილი. დ. 1860 წ. † 1904
წ. 14 სექტემბერს, დაასაფლავეს 27 სექტემბერს ქ. თფი-
ლისს, ცნობილი პირი, სამაგალითო მამულიშვილი. დიდათ
კაცთ მოყვარე და სიბრალულის მექონი. ამის მნიშვნელობის
შესახებ დასაბუთებულია ფაქტებით, ერთად ერთი პირია
ჩვენს დროში შეუძლოთა სიბრალულით. ამის შესახეც ჩვენ
კალკე გამოვეცით ორი წიგნი ერთი: „სამაგალითო იდამიანი“
გამოც. 1904 წ. დასაფლავების დროს. მეორე წიგნი „მო-
გონება“ მისივე. აქ შემოკრებილია ყველა ის წერილები რაც
კი განსვენებულის შესახებ დაიწერა და დაიბეჭდა სხვადა-
სხვა გაზეთებში. ამიტომ აქ არა ვამბობთ.

ლევან კონსტანტინე ქვე ზუბალაშვილი. დ. 1851 წ. ქ.
თფილის. ამის შესახებ გაკვრით გვაქვნდა ცნობა მოყვანილი
„ზუბალაშვილების გვარის ისტორიაში“ რომელიც წინეთ გა-
მოვეცით. ამას გარდა ამავე პირის ცნობა მოთავსებულია
წიგნს „ქართველ კათოლიკენი ყველა ასპარეზზედ“ გამოც.
1905 წ. და ამისავე სურათი და გაკერითი მოხსენება მოთავ-
სებული გაზლდათ „ქართველთა მიერ წერა-კითხვის თამართვე-

ლოსაგან“ გამოცემულს 1905 წ. საქართველოს კალენდარში. ამიტომ აქ ვიტყვით ჩვენ მხოლოდ შემდეგს.

ლევან კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი უფროსი შვილი გახლავთ კონსტანტინეს ოჯახისა. მეორე შვილი, ვაჟი, ანდრია გახლდათ, რომელიც დ. 1856 წ. † 1888 წ. მოგეხსენებათ სიყმისშვილს ჩვენშა დიდი პატივისცემა აქვს მინიჭებული როგორც დედ-მამისაგან, ისევე ძმებთაგანც. ასევე უნდა მოვიხსენოთ ისიც, რომ ეს წესი და ჩვეულებათ მტკიცებული გახლავთ დაცული ლევანის ძმებთა შორის. იგინი ერთმანეთს პატივს სცემდნენ უაღრესად და ერთს უღელ-ქვეშ სცხოვრობენ. ლევან კონსტანტინეს ძეს აქვს მიღებული საზოგადო განათლება, ირიცხება ერთს ცნობილ პირად, დედ-მამისაგან დატავებულ სავალდებულო მცნებათა მორჩილად და ძმების განძრახვათა და კეთილ საქმეთა მათანხმება. სცხოვრობს რუსეთს, მოსკოვს, არის სახლობის პატრონი. დაწვრილებით ცნობა არა გვაქვს მისი და ამიტომ ვერ ვხელმძღვანელობთ სხვა ცნობებითაც.

კონსტანტინე იაკობის ძე ზუბალაშვილის გარდაცვალების შემდევ, სტეფან კონსტანტინეს ძემ ქველ-მოქმედება დაიწყო და მრავალ საზოგადო საქმეთა პატივისცემა და დახმარების იღმოაჩენა. ყოველთვის როცა კი სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილისაგან რამე საზოგადო საქმეთა სასარგებლოდ შემწირველობა ცხადდებოდა, იქ, იმ განცხადებაში, ყოველთვის, ძმებთა სახელების მოხსენების გვერდით, ლევანს, როგორც უფროს ძმას პირველი ადგილი ეკავა ხოლმე. ამიტომ აქ, ვაღიარებთ როგორც ერთ უდიდესად თანამგრძობთაგანი საზოგადო საქმეთა და ქველ-მოქმედი.

იგი არის კარგი თვასების პირი, ქართული ენის კარგად მცოდნე და საქართველოს საზოგადო ყველა საქმეების დიდი პატივისმცემელი. მე კი არა და ერთხელ პატივცემულ ნიკოლოზ ზეგდის ძე ცხვედაძემ სთქვა შემდევი სიტყვა ლევანის შესახებ — „ლევან გონსტანტინეს ძე ძრიელ გაი ქართვე-

და კაცია. უოველს ჩვენს სიკეთეს დიდათ აფასებს. მთელი თავის შექმნას საქართველოს საკუთრებათ მიაჩნია. თვითონაც ასე ამ-ბობს". ეს სიტყვებიც ხატვენ მას საკმარისად. ჩვენგან გან-მარტება აღარ უნდა.

პეტრე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი. მესამე შვალი კონ-სტანტინე იაკობის ძას ოჯახისა, დაიბადა 1862 წ. ქ. ტფი-ლისს. პარველად სწავლა ტფილისის გიმნაზიაში შიოლო. მერე ნოვოროსიის უნივერსტეტში დამთავრა,. სწავლის და მთა-ვრების შემდეგ, იგი ინჟინერის ხარისხის მინიჭებით გამო-ვიდა. იგი სკოლვრებს თავისვთით, ე. ი. თავის საქმეების გამგეობით..

პეტრე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვალის შესახებ პირ-ველად ცნობა ჩვენ მოვათავსეთ მათის გვარის ისტორიაში. შემდეგ ჩვენგან მიერ გამოცემულს წიგნს «ქართველი კათო-ლიკენი ყველა ასპარეზზედ» და «ქართველთა მიერ წერა-კი-თხეის სამმართველომ» სურათი და მოკლე ცნობა დასტუმბა თუისგან მიერ გამოცემულს 1905 წ. «საქართველოს კალენ-დარში».

პეტრე კონსტანტინეს ძე სახლობის პატრიონი გახლდათ, შეილებიცა ჰყავს. მეუღლე ამისი მარიამ კონსტანტინეს ასუ-ლი ზუბალაშვილისა გარდაიცვალა 1903 წ. რამაც დიდი ზე გავლენა იქონია პეტრეს გარდა თვით სტეფანე კონსტანტი-ნეს ძეზედაც. ეს ქალი სამაგალითო იდამიანი გახლდათ და ღირსეული მეუღლე ღირსეულის განათლებულის კაცის. იგი იყო დიდი გულ-მოწყალე და ქომაგი შეუძლო ერისა. ამ ქა-ლის შესახებ ცნობები ნახეთ „ზუბალაშვილების გვარის ის-ტორიაში“ გამოცემა 1903 წ.

პეტრე კონსტანტინის ძე ზუბალაშვილი განათლებული კაცი გახლავთ, თავის დროის შემცნებული აღამიანი და მომზა-დებული ისე როგორც ერთსა და ორს თანამედროვე რიგა-ანს მოქალაქეს მოჟთხოვება. იგიც დიდი პატივის მცემელია დედმამისიგან დატოვებულ სავალდებულო მცნების, პატივის

მცემელი მათის ხსენების და დიდი მომხრე ემათა ერთობის
და სიყვარულის, ეს ასე უთქვამზ ყველა მათ ვინც კი ამის
პირადი ცნობა იციან და მის საქმეებს იცნობენ. თვითონ
არის მშვიდი, წყნარი, სათნო სამაგალითო ცხოვრების მექო-
ნი. სამაგალითო და მისაბაძი მრავალთაგან და ყოველთვის
და ყველაგან. მთელი თფილისის საზოგადოება კარკად იცნობს
ჰეტრე კონსტანტინეს დე ზუბალაშვილის ღირსებასა და მნი-
შვნელობას.

როგორც ვიცით, ჰეტრე კონსტანტინეს დე კარკად
მცოდნეა ჩვენის საზოგადო და საერთო საქმეების. ქართული
ენა და წერა-კითხვაც კარგად აქვთ შეთვისებული, მაინც ქარ-
თული ენის მფარველობა და უურნალ გაზეთების პატივის
ცემა მათ სავარეულო მცნებას შეაღენს. ამათ წინაპართა,
დედის და თვით აწ უდროვოთ გარღაცვალებულს სტეფანეს
სახლშიაც ქართული ენა სუფევდა. ასეთ მათში ის, რაც სამ-
წუხაროდ ბევრს ქართულს ოჯახში არამც თუ მცირედ არის
დაცული, არამედ დევნასაც კი ეძლევა და ზოგს ალაგის ეს მო-
სპობილიც გახლავთ. კითხვა კი არა და ზოგს სძულს კიდევაც.

ჰეტრე კონსტანტინეს დე ზუბალაშვილი როგორც გა-
ნათლებული კაცი და მაღალის ჰუმანიურის თვისებით აღსი-
ლი, სრული მორჩილი და მოთანხმე გახლავთ თვისის ძმების
ქველ-მოქმედების და შემწირველობის. რაც კი ხალხის სა-
სარგებლოდ შემწირველობა განცხადდა საქვეყნოთ სტეფანე
კონსტანტინეს ძესაგან, იქ ყოველთვის ჰეტრეც ყოფილა მო-
ხსენებული. უნდა ითქვას, რომ თათქმის ყველა შემწირვა ერ-
თის ძმურის სიყვარულით უხდებოდათ და შეერთებულის წადი-
ლით. უნდა მოგახსენოთ, რომ ასეთი ღირსება ჩვენში სა-
დღეისოდ ერთობ იშვიათობს. ასეთს სამკაულებითი მხარეს
ბევრს ძმათა შორის ვერ ვნახავთ, იგი ჩვენს გათახსირებულს
დროში ერთობ იშვიათია და სამოლით საძებარი. ამითიც
რასაკვირველია ჰეტრე კონსტანტინეს დე თავის ძმებით მაგა-
ლითნი არიან სხვათა წინაშე.

დღეს, პეტრე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი თავის შეიღვით ევროპაში სცხოვრობს. იქა ზდის შვილებს. ცოლის გარდაცვალების შემდეგ შვილებით ევროპაში გადასახლდა, ამათი ბიძა ალესანდრე იაკობის ძეც იქ სცხოვრობს. დროებით იქ სცხოვრობს პეტრე კონსტანტინეს ძე და შვილების მოლონიერების ანუ დაზრდის შემდეგ კი საქართველოში დაბრუნდა საცხოვრებლად. პეტრე კონსტანტინეს ძის ზუბალაშვილის მომდევარია უმცროსი ძმა იაკობ კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი. სტეფანეს გარდაცვალების შემდეგ, სტეფანესავე ასპარეზზედ, მისივე მსგავსად იაკობ კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი აღმოჩნდა, ბედმა მას არგუნა მხოლოდ თფილისში ყოფნა იმ დროს და ძვირულის ძმის დასაულავება. ძმათა დავალება და ძმური ვალი იაკობმა გადუხადა ყველას მხრით თავის ძვირულის ძმა სტეფანე კონსტანტინეს ძეს. ჭნდა მოგახსევოთ, რომ სტეფანე კონსტანტინეს ძეს იაკობი, როგორც უმცროსი ძმა ერთობ უყვარდა, ყოველს საკეთილო შეწირულებაში იაკობიც მათი სრული თანაზიარი გახლდათ, ამის სახელიც ყველგან იყო მოხსენებული, ანუ ყველა საზოგადო, თუ კერძო კაცთა შესაწირავ სიაშიც.

იაკობის შესახებ პირველად მცირე ცნობა ჩვენ დავბეჭდეთ მათს საგვაროენო ისტორიაში, შემდეგ წიგნში „ქართველ კათოლიკენი ყველა ასპარეზზედ“ და „წერა-კიოხვის სამართველომ“ 1906 წ. „საქართველოს კალენდარში“ მოათავსეს იაკობ კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილის სურათა და პატარა ცნობა იაკობისავე მაღალს მიღრეკილების და საქველმიშედო საქმეთა პატივისცემის. ეხლა ჩვენ ვხელმძღვანელობთ საზოგადოებრივის მხრით და მოსაზრებით და აქ ვათავსებთ როგორც იაკობ კონსტანტინის ძის სურათს, ისევე მის ცხოვრების და ვითარების აღწერას, რისთვისაც ჩვენ ვხელმძღვანელობთ თვით იაკობის ნალაპარაკევის ცნობებისამაცა. ამ აღწერის მცირედ სისრულის უფლებას თამამად გვაძლევს თვით იაკობ კონსტანტინის ძის აღამიანური ლირსება.

იაკობ კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი. დაიბადა 1876 წ.
ქ. თფიბილისს. როგორც უმცროსი ვაჟი-შვილი, მშობლებს იგი
დიდად უყვარდათ. იაკობის პატარაობის დროს, დედას მის
აღზრდაზედ დადი გავლენა აქვნდა. დედა ამათი მეტად
დიდის სათნოების ქალი იყო. ამიტომ შვილებზედაც მას დი-
დი ზე გავლენა აქვნდა. დედის გავლენა იაკობს დღესაც
კარგად ეტყობა. იგი სამაგალითო თვისებისა არის, ამ ლირ-
სებისთვის იაკობი დიდათ უყვარდა სტეფანე კონსტანტინეს
ძესაც. ეს ყველამ კარგად უწყის, რომ იაკობი სტეფანესთვის
მეტად საყვარელი უმცროსი მას გახლდათ.

იაკობმა პატარაობის დროს ჯერეთ შინ მიიღო სწავლა.
მერე იგი სწავლობდა თფილისის კლასიკურს გემნაზიაში, შე-
მდევ ევროპაშიაც იყო. მიღებული აქვს საზოგადო განათლე-
ბა და იცის თანამედროვე ყველა სწავლა მეცნიერება, სხვ
და სხვა ენები და თავის სამშობლო ქართული ენა და წერა-
კითხვა. იაკობ კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილის შესახებ
ჩვენ ჩვენ აზრი გამოვსთქვით წიგნს «ქართველთ კათოლიკენი
ყველა ასპარეზზედ» და «სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალა-
შვილის მოგონებაში» რომელიც დაპრეჭდეთ 1905 წ. და ამი-
ტომ იაკობის შესახებ აქ მოვათავსებთ ყოველივეს ერთად.

იაკობ კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი დიდი კაცი მო-
ყვარეა, უპირველესად იგი ადგა კაცობრიობის სიყვარულს,
მერე ძმათა და მეგობართა. იგი პატივს სცემს ყველას ერთ
ნაირად, როგორც ქართველს, ისევე რუსს, სომებს, თათარს
და სხვათაც. დახმარებასაც ასევე უჩენს მათ, რაც სამაგალი-
თოა ჩვენს დროში. პირნათლიად შეიძლება ითქვას, რომ ია-
კობ კონსტანტინეს ძე სრული მცნება არის სტეფანე კონ-
სტანტინეს ძისა და თვის მშობლების. ვიტყვით, რომ იაკო-
ბის სამაგალითო მოქმედების შემდეგ, სტეფანე თითქმის ცო-
ცხლათ უნდა ჩაითვალოს. რაც სტეფანეს ნაცვრა აქვნდა
საზოგადო საქმეთა პატივისცემისათვის და მის შესრულება
მან ვერ შოასწრო, იმას იაკობი უსრულებს.

იაკობ კონსტანტინეს ძე ჯერეთ ახალგაზრდა კაცია, უცოლო, იგი კარგათ იცნობს კაცის მოვალეობას საზოგადო ცხოვრების ასპარეზზედ და კარგად იცის ოვით ქართველ ხალხის ცხოვრებაც. იცის ყველა დაწესებულებათა გარემოებანი და საქმენი. იგი ქართველ საზოგადო საქმეთა ინტერესებს ფეხ და ფეხ მისდევს და რითაც ძალ-უძს იმით ასულდემულებს. იაკობ კონსტანტინეს ძეს ბევრი რამ კეთილი განძრაზვანი აქვს ქართველთ სასარგებლოდ, აქ მხოლოდ მისი ნატვრა არის საჭირო რამ იგი კარგად გახლდეს და ჯან მთელად, თორემ იგი თავის სიცოცხლით და შეძლებით ჩვენს ტომს საკმარისად გამოადგება. მოკლე დროის განმავლობაში მან ეს საქმითაც დაკვიმტკიცა. მასში გამოხატვით ჩვენ ვნახეთ კაც-მოყვარეობა, განათლება და მეცნიერებათა პატივის-ცემის დედა აზრებიაც.

იაკობს კარგად ესმის ყოველი ერის განათლებისათვის ბეჭედითი სიტყვის მნიშვნელობა და საჭიროება, ამიტომ მან გაზეთ „ივერიას“-ს მისცა დიდი სახსარი არსებობისათვის და უღეს გაზეთი ამის საშუალებით და ნივთიერის ძალით განახლდა და გამაგრდა რასაც კაი მომავლის და წარმატების ნიშნებიც დაეტყო. იაკობისავე აჩრდილს ქვეშ არის მოთავსებული წიგნთა გამომცემელ „ცისკრის“ ამხანავობის არსებობის საქმე. იაკობ კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილის სურვილათვე შესდგა წრე და და ამ წრის კრებები, რომელსაც აზრად აქვთ ქართულსა და რუსულს ენაზედ კარგის მეცნიერული ენციკლობედის შეზღვნა და გამოცემი. რასაც მეტად დიდი საგანი აქვს მიცემული. თუ გარემოება გაუბრწყინდება, მის მერე საქართველოს ენციკლობედისა თვით ეკრობიულს ენებზედაც გამოსცემენ.

მოგეხსენებათ, რომ ამაზედ ჩანებული საქმე ჩვენთვის რომა იქმნება, ევროპაში დღესაც კი სულ მცირედ გვიცნა ბენ. ის რაც ჩვენ შესახებ ბროსემ სწერა, სენ მარტენმა,

და მოგპრემ და სხვათა ორიოდე, თითქმის ამით თავ-
დება. ბევრს ალაგის არამც თუ ჩვენი არსებობა, არამედ
თვით საქართველოს ხსენებაც კი არ იციან. ასეთ ნაკლის
წყალობით ხშირად ევროპიელთ შორის დიდი შეცდომებიც
დაშვებულა, მაგრამ ამით იგინი გასამტყუნარნი არ ყოფი-
ლან, რადგანაც მათ ჩვენი ცნობა არა ჰქონიათ და ამას
გარდა ჩვენს გასაცნობათ მათს წინაშე არც ჩვენ გვიმეცა-
ნია. მომხდარა, რომ ევროპიელნი ხშირად ქართველებს სომ-
ხებათ სთვლილნენ, საქართველოს სომხეთად და ასევე ათავ-
სებდნენ სხვა და სხვა წიგნებში და რუკებზედ. მნიშვნელობა
ცხადია აქ რომ ყოველივე ჩვენი ბრალია და ჩვენის გულ-
გრილოების. თითქოს იაკობ კონსტანტინეს ძეს ეს ნაკლი
კარგად სცოდნია, მისი მნიშვნელობა აუწონია და მიტომაც
განუძრახავს ამ საქმის განხორციელება.

იაკობ კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილის ერთს მთავარს
საყურადღებო მიხედვრას შეაღევნს შემდეგი გარემოებაც,
რაც ჩვენთვის, ქართველებისთვის, მეტად საყურადღებოც უნ-
და იყოს. ჩვენ, ქართველებს მთელს რუსეთის იმპერიაში არა
გვაქვს ერთი გაზეთი რუსულს ენაზედ, ევროპიულს ენებზედ
ხომ არას ვიტყვით. რუსეთსა და ევროპაში კი არა და თვით
საქართველოში. ანუ კავკასიაშიც კი არა გვაქვს ერთი ორ-
განო, რაცა სხვებს შვიდი და ექვსი აქვთ. ადრე ქართველ
ტომის გაზეთები „ობზორი“ იყო, „თფილისის ვესტნიკი“, მე-
რე „ახალი მიმოხილვა“ ისიც მხოლოდ თუმანიშვილების რე-
დაქტორობამდე, მერე კი აღარ. ასე და ამ გვარად, ქარ-
თველ ტომს რუსულს ენაზედ არა აქვს თვით ერთად ერთი
რუსული გაზეთი, სადაც ჩვენს საზოგადოებას შეეძლება თა-
ვის შესახებ თავის აზრების და მნიშვნელობის თავისუფლად
გამოთქმა. სამწუხაროდ, ქართველი საზოგადოება ასეთ გაზე-
თის უქონლობის გამო დიდს გაჭირებას ითმენს, დიდს შე-
შუხებას და ხშირად ცილის წამებასაც, მაგრამ პასუხის მი-
საცემი სახსარი კი არა გვაქვს.

მოკლედ უნდა ითქვას, რომ ქართველის ერისთვის დიდი საჭიროებას შეადგენს ერთი რუსული კარგი სამოქალაქო გაზეთის ქონვა. ამას ყველა ქართველი გრძნობს. ამ გარე-მოებას იაკობ კონსტანტინეს ძემ დიდი ყურადღება მიაქცია და მოკლე დროის განმავლობაში ნება-როვა აიღო, თფილის-ში, ყოველ დღიურ რუსულ ფართო გაზეთის გამოსაცემად, ისიც უცენზუროდ, რაც ჩვენს ქვეყანაში პირველი მაგალი-თია. გაზეთის საჭიროებას დიდი მნიშვნელობა აქვს, იგი რამ-დენათაც მნიშვნელოვანია, იმდენათვე ნაკლი გახლავთ ჩვენის არსებობისათვის და ამიტომ იაკობ კონსტანტინეს ძის ზება-ლაშვილის განძრახვას გზა უნდა დაულოცათ. ვანატრებთ როგორც თვით იაკობ კონსტანტინეს ძის სიმაგრეს, ისევე ამ გაზეთის განმტკიცებას და გავრცელებას, იგი სამაგალი-თოდ დაშეება დღეს ჩვენში.

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ იაკობ ზუბალაშვილისაგან წება რთვა ალებულ გაზეთ „ზაკავკაზიეს“ მაგიერ გამოვა გა-ზეთი „ვაზრაჟდენიე“, უნდა მოგახსენოთ, რომ თუმცა ამ გა-ზეთის რედაქტორ-გამომცემელნი სხვა პირნი გახლავსთ, მა-გრამ მეთაურობა და პატრონობა კი, ანუ ფული და ყოვე-ლივე ხარჯი, როგორც გაზეთ „ივერიისა“ ყოველივე, ასე ამ გაზეთი, ფული მთლად იაკობ ზუბალაშვილს ეკუთვნის.

იმედია რომ ჩვენი მოღვაწეები თავით ვალს პირ-ნათ-ლად შეასრულებენ, იაკობ ზუბალოვისაგან დანიშნულს და-სხმარებას სინიდისიერად მოიხმარებენ. შენ ჩემობას და მითვა-სებას არ გააჩენენ, საქმეს კარგად გაუძლვებიან და მით დაამ-ტკიცებენ თვის საქმის სიყვარულს და პატივის ცემას.

ვიტყვით რომ იაკობ კონსტანტინეს ძეს ბევრი კიდევ სხვა სიკეთეთა განხორციელება აქვს სახეში და გვამში და-ნერგილი და ოლორძინებული. მას ბევრი რამ სურს ქართვე-ლი ტომის განსანათლავად, პროგრესის სასარგებლოდ. ძველ მამა-პაპათა ნაშთთა საბინალრო შენობის აღსაგებად, მთელს საქართველოს დიდრონს დაბასა და სოფლებში ქართულ წი-

გნების გასავრცელებლად, ხალხში კითხვის მოსაფენად, სამ-
კითხველოების დასაარსებლად და სხვანიც მრავალნი ასეთი
საქანი, რაც კი იაკობ კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილს დი-
ღის განვითარების მემკებელ პირად ხატავენ. ასეთ პირთაგან
სიკეთის თესა დიღის სათნოს პატივის ცემად უნდა მიიღოს
არა მარტო ქართველ მუშა და ხელოსამა ხალხმა, არამედ
სხვა ტომისამაც, რადგანაც იაკობ კონსტანტინეს ძე როგორც
თავის ტოშის გასანათლებლად ზრუნავს, როგორც ამათ სი-
კეთეს ნატრობს, მას ისევე ენატრება სხვა ტომთა ერისაც და
ნამეტურ მუშა და ხელოსნების.

ჩევნგან იაკობ კონსტანტინის ძის ზუბალაშვილის ქება
საჭირო არ არის, თვით აქ მცირედ მოთვლილი საქმენიც
ლალადებენ: თუ იაკობი რა ლირსების და თვისების უნდა
იყოს. ვიტყვი მჟყლედ, რომ ასეთი კაცები ჩვენს გათახსიე-
რებულს დროში ერთობ იშვიათნი არიან ახალ-გარზუბთა
შორის. ამას არამც თუ მე ვამბობ, არამედ ამას დასაბუთე-
ბენ უკელა ის ქართველ განათლებულ პირნი, რომელნიც კა
იაკობ კონსტანტინის ძის ზუბალაშვილის დაახლოებული
ცნობა აქვთ. მე შემეძლო რომ აქ უფრო ვრცელი წერილი
დამეწერა, მაგრამ ეს იქით გადავსდეთ, იაკობ კონსტანტი-
ნეს ძე ჯერეთ ახალ-გაზრდა კაცია და იგი თავის კეთალის
გულით იმდენ ღირსეულ საქმეებს შექმნის, იმდენ სიკეთეს
დასთესს ქართველთა წინაშე, რაც უნდა ითქვას თამაბად,
რომ მის სახელს და სხვებს უკელა ქართველის გულში
მტკიცედ ჩაქოვენ, მტკიცედ დანერგვენ. მაშინ იაკობის საქ-
მეთა ღრწერას უფრო კარგი მომხსრობა ეყოლება და იგი
უფრო უდიდესის ჰუმანიურის თვისებით დაიხატება. ეხლა კი
ჯერ ეს ვიკარობდ და ამაზედაც გვერიდება, რადგანც იაკობ
კონსტანტინეს ძეს დიღი მორიდება აქვს საღმე ბეჭვდითი სი-
ტყვით თავის სახელის და გვარის გამოჩენის.

მათ საგვაროვნო მცნებათ არის გამხდარი შემდეგი ცნო-
ბა: ჩვენ სიკეთეს მიტომ კი არ ვთესავთ, რომ მერე ამისთვის

სხვებმა გვაქონ. არამედ ამას მიტომ ვასრულებთ, რადგანაც ეს ჩვენ კაცობრიობისთვის დიდი საქრისტიანო ვალიად მიგვაჩნია. ასეთ ცნებას ადგა ამათი პაპის მამა ივანე გიორგის ძე ზუბალაშვილი, ძე ამისი იაკობ ივანეს ძე ზუბალაშვილი, იაკობის ძმანი, იაკობის ძენი: კონსტანტინე, ძე კონსტანტინესი სტეფანე და უმცროსი ძმა სტეფანესი იაკობ კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი. ვიტყვით დასასრულ რომ იაკობ კონსტანტინეს ძე არის ისეთის თვისების, ისეთის წასიათების, რომ ამისაგან ძნელია რომ ვისმეს სწყენოდეს, ან ვისმეს რამით აწყენინოს. მას მეტად დიდი მტკიცე აღამიანური სიბრალული და შეხედულება აქვს თანამედროვე მშრომელი ერის შესახებ.

იაკობ კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი თავის დრადგან, ანუ სკოლის სკამზე ჯდომის დროსვე შეჩვეულა სხვა და სხვა სამეცნიერო წიგნების კითხვას. სამეცნიერო საგანთა ცოდნით მსჯელობაში. იგი რომ მცოდნე გახლავსთ ამას ასაბუთებს მისგან ნათქვამი შემ დეგი შენაშვნა:

— «ბიოგრაფიული წერილები უნდა იწერებოდეს ისე, რომ იგი მარტოდ ერთის და ორის პირისთვის კი არ იუნს წასაკახი, არამედ მთელის საზოგადოებისთვის. წერაში დაწწერი აბეჭდიურს წეს უნდა ემთხოებოდესთა.

კეშმარიტად, რომ ასე უნდა იყოს, ბიოგრაფიულ თვის ასე უნდა სჯიდეს. ეს მეთოდი რუსულ მწერლობაში გაბრწყინდა 1860 წლების შემდეგ, როცა პისარევმა და დობროლუბოვმა ხმა მაღლა იწყეს ქადაგება. იაკობ კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი რომ კანონიერად არის განათლებული ეს კარგად სჩან ზემო ხსენებულ მის შენიშვნებიდამ. როგორც ახალ გაზრდა კაცი დიდი თანამდევეარია თანამედროვე მოძრაობის და კეთილ საქმეთა ქმნას. ამაზედ კანონიერი პოსაზრება აქვს შედევნილი. მისგან ნათქვამი გახლავსთ: მუშათა გარემოება კარგად ესმიდა ჩემს ძმას სტეფანესათ, შიტქმ იგა შათ კარგადაც ემტეადა. მიტომ შის წანაშე ათც შუშები ახდენდნენ აფანეკებასთა».

ამას რაღა განმარტება უნდა ჩვენგან. კარგად მოექცევი კარგად მოგექცევიანი. სანატრელია, რომ ამ საღილებელ მცნებას სხვანიც იყობ ზუბალაშვილისავებ უმშერლნენ. ამის გარჩევა მუშებს და ხელოსნებსაც უნდა აქვთდესთ, რომ იყობ კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილს და სხვათა შეძლებულ ბოროტებს ერთად არ რევლნენ. უველას გარჩევა უნდა, ავი და კარგი, ბოროტი და კეთილი მდიდრებშიაც არის და ლარიბებშიაც. ამიტომ სამწუხარო იქმნება თუ მუშები ამ მარტივ საფალდებულო მცნებას ერთს მეორისაგან ვერ გარჩევენ.

იყობ კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილს, საზოგადოდ ხელ მოკლე და ლატაკებზეც რომ მეტად ჰუმანიური შეხელულება აქვს, ეს ცხილად მტკიცდება იმ გარემოებიდამაც, რომ 1902 წ. სააღდგომოდ, ტუილისის გამგეობას თავის წილად 2,000 მან. გაუგზავნა და ასე შეუთვალა: „ეს ფული სააღდგომოდ იმ დატაჭ შირებს დაურიგეთ; რომელთაც ამ დღისთვის სანთვაგე არ ექმნებათ“.

ამ სიტყვების შენიშვნების შესახებ ჩვენ არას ვიტყვით, მისი მაღლი მეითხველმა გაარჩიოს. ხოლო იმას კი ვიტყვით, რომ რა თვისებისაც სტეფანე კონსტანტინეს ძე გახლდათ, იმავე თვისებისა არის იყობიც. თვით სტეფანესაც დიდათ უყვარდა იყობი, ეს სიტყვითაც კი სოჭვა სტეფანემ, უეპვალია იყობსაც კარგად ეცოდინება რომ იგი სტეფანეს დიდად, ძრიელ უყვარდა.

იყობიც ისეთივე თვისების არის გვაროვნობაზეც და ქართველ კათოლიკობაზეც როგორც სტეფანე. მან სოჭვა: „შათოთლიკების შესახებ სოჭების კამათს დანებეთ ქართველებია თავი და უკრძალა ისინიც განერდებან“.

მუშათა გარჩევაზედაც მას აქვს ნათელი რიალური შეხედელობა. როგორც პატივს სცემს საქართველოს, თავის სამშობლო ქვეყნის ერს და საქმეებს, ისევე რუსს, სომებს, თათარს და სხვათაც. უველას ინტერებებს ერთნაირათ ეგებება და მხარს აძლევს. იყობ კონსტანტინეს ძე ჯერეთ ახალ-

გაზრდა კაცია. იგი მინახავს პატარაობილამ, ვინაიდგან კარგად ვიცნობდი მათ მშობლებს და მთელ მათს საგვარულო წევრთაც. ვიტყვი თამამად რომ მის გულში ჩვენი ქვეყნის სიყვარულს დიდი ადგილი აქვს დათბობილი. ეს სიყვარული მათი გვარის დარგია, იგინი ყველას პატივს სცემენ. ამის ნიშან წყალია, რომ მათ 150,000 მან. შესწირეს რუსის მთავრობას აღმოსავლეთის ომში დაჭრილთ სამკურნალოდ, მათგან დიდი ფული შესწირვია სომხებს, რუსებს, თაორებს და სხვეთაც.

ჩვენი მოსაზრება იაკობის შესახებ სტეფანეს ბიოგრაფიაში 1901 წ. გამოვსთქვით. ჩვენი მოსაზრება 1904 წელს ნაოლათ გამართლდა, როცა სტეფანეს სიკვდილის შედევ 100 ათასი მანეთი თფილისის გამგეობას შესწირა დარიბ ხალხთა სწორულ ბაჟოს ტეხნიკურ სკოლის ლაბორატორიის გასაფართოებლად, 50 ათასი მანეთი ქართველ თავად-აზნაურთა სკოლას. 10 ათასი მანეთი „წერა-კითხვის სამშაროველოს“ წერილმან შეწირულებათა ჩვენ არ ვახსენებთ. ბავშვების მნიშვნელობის გამო ჩვენი პაზრი 1904 წ. „კალენდარში“ გამოვსთქვით, მიტომ ამაზედ აქ არას ვითყვით. ხოლო ის კი უნდა აინიშნოს, რომ ყველა ამ საქმეთა ინიციატივი იაკობ კონსტანტინეს ძეს ეკუთვნის.

იაკობ კონსტანტინეს ძე არის შვილი ელისაბედ და კონსტანტინე ზუბალაშვილებისა. ეს პირნი იყვნენ ქართული მწიგნიბარნი და დიდათ მოყვარე ქართულის ენის და მწერლობის. ასეთივე იაკობი, ასეთივე არიან ყველა ძმებიც, ამასვე ეკუთვნოდა სტეფანეც, ვიტყვით სიამოვნებით, რომ იაკობ კონსტანტინეს ძე ჩვენის ხალხის განსანათლებლად დიდს შემწეობას აძლევს მწერლობას, მას დიდათ სურს ქართული მწერლობის აყვავილება და გავრცელება, ამისათვის იგი არას დაიშურებს და ამ მოკლეს დროის განმავლობაში, მან ქართველ საზოგადოებას სიტყვითაც დაუმტკიცა და გა-

მოთქვა თავისი სამზადისი და სურვილი ყოველთვის მონაწილეობის მიღებაში. იაკობს დიდი სურვილი აქვს, რომ საჭართველო აღწერილი იქმნეს ყოველნაირის მხრით, ენციკლობედიურად და გაცნობილი არა მარტო ქართულ ენაზედ, არამედ რუსულს და ფრანგულზედაც. ამის შესახებ უკვე წრე არის შემდგარი და მუშავობს. ეს საქმე უკველია დამთავრდება, ამას ფიქრი არ უნდა.

იაკობ კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი დიდი პატივის მცემელია სახალხო განათლების და ამოტომ იგი დიდ პატივს სცემს ქართულ სახალხო მწიგნობრობას, ქართულ წიგნების გამოცემას, ნამეტურ თარიბ ქართველ გამომცემელთა შრომასაც დიდს მნიშვნელობას აძლევს, ყოველს გამოცემას თავის მნიშვნელობას არ აკლებს, სახალხო წიგნების გამოსაცემად «ცისკრის» დაარსებაც სულ იაკობ კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილის მარტივიშვილურს მხარესთან უნდა იქმნეს დაკავშირდებული, ამავს გარდა იგი ქართულ ენაზედ დრო გამოშვებითი გამოცემასაც ჟიდს მნიშვნელობას აძლევს.

ნათქვამია ქართულად: „მაშა ნახე, დედა ნასეთ, შვილიც ისე გამონახეთ“. ეს ითქმის სწორედ იაკობ კონსტანტინეს ძეზედაც. დასასრულ ვიტყვით, რომ იგი როგორც განათლებული კაცი სტეფანესავებ მორიდებული პირია და დიდი სათნო. საწყალი ხალხის ყველა განურჩევლად უყვარს, ქართველი, სომები, რუსი და სხვანი. ამან მათი გარჩევა არ იცის. ყველა ტოშის ხაჭებისაც ერთნაირად ადიდებს, რუსის საზოგადო საქმე, სომხების, თათრების და სხვათაც ყველა ერთნაირდ მიაჩნია, მათაც ისე სცემს პატივს როგორც საქართველოს და ქართველთ საქმეებს. უნდა მოგაზანოთ რომ ესეც ერთი დიდი ღირსება გახლივსთ ახალ გაზრდა იაკობ კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილსა. იგი დროის განათლების შეიღლია, სუფთა ჰუმანიური კაცი და კაცი, ცხოვრების მხარეების დაკვირვებით სრული რიალისტი—განათლებული პირია. იგი ყოველს სავალდებულო მცნებას ისე ემსახურება რო-

გორც კარგს მამულის შვილსაც მოეთხოვება. მისი აწინდელ საქმეთა მცნებანი ცხადათ გვაძლევეს საბუთს ვიფიქროთ, რომ იაკობ კონსტანტინეს ძე ზუბალა შვილს ჩვენის ცხოვრების ასპარეზედ მეტად დიდი ადგილი დაეთმობა ქველ-მოქმედების და ხალხის და ქვეყნის სიყვარულის გამო.

იაკობ კონსტანტინეს ძის სიყვარული თავის დროის კვალად უფრო საფუძვლიანი და მართლ-მსაჯულებით არის გარემოცული, ვიზრე ზოგი ერთის სხვა ძველის თუ ახლის ქველ-მოქმედებისა. იაკობ კონსტანტინეს ძეს, როგორც ახალგზრდა კაცს, თავის მიხვედრით მეტად კარგად და ჩინებულათ ესმის ხალხის დახმარების საქმე და მისი სათავე. იგი თავის განსვენებულის დედის წყალობით ისეა გაზღილი და ისეა გამოწურთვნილი, რომ კეთილის საქმისთვის არას დაიშურებს, ყოველივეს გაიღებს, ოღონდ კი მით რამე გაკეთდეს, ეს მან მოკლეს დროის განმავლობაში საქმითაც დაამტკიცა, ხოლო ისე, უბრალოდ, წარამარათ კიარა, როგორც ეს ზოგი ერთებმა იციან, უბრალოდ კაპეკისაც არავის მასცემს. ამის შემცნებით და ინერციით იგი ბევრად მაღლა სდგას მრავალ სხვა ქველ-მომქმედებზედ.

პირველი სამაგალითო ღირსება იაკობ კონსტანტინის ძისა გახლავთ ის დიადი მცნება, რომ მან კაოგად გაიგო და ბეჭავებული ხალხის სამსახურის სათავის მნიშვნელობა. იგი სუფთა სამაგალითო მოქალაქეა. მას სისუფთავის მხრით ჩვენს დროში მრავალნი ვერ შეედრებიან. ასეთი პირნი სამთლით საქებარია ჩვენს დროში. სუფთა გონების აღამიანმა კვალად მოსძებნა სუფთა საქმე, დღეს იგი, მთელს კავკასიაში ხდება ფართო გაზეთის გამოცემის მეთაურ და მწარმოებელ პატრონად. ექსეც ერთი დიდი მცნება და სიყვარულია აღამიანის მაღრეკილების. ამითი იგი არას წააგებს, წაგების გარდა საერთოდ დიდს საქმესაც გააკეთებს, რაღაც იგი როგორც შეძლებული პირი, ყოველთვის მეთაურობით უმწიფელო იქ-მნება და კარგის ამხანაგის გვერდით, რაღა ფიქრი უნდა რომ

კაი ფარი და დროშა იქნება არა მარტო ქართველთა წინაშე, არამედ კავკასიის ცენტრი მცველი და მცხოვრებთა. ჩვენ ეს კარგად ვიცით და ამიტომ უფრო გვენატება იაკობ კონსტანტინის ძის უდისესის გაზეთის გამოცემის სათავეში დგომა.

დღეს, ჩვენ, ქართველებს, სომხებს, რუსებს და თათრებსაც ისე არაფრთი გვტორია, როგორც კარგი დამაკავშირებელი და გზის მაჩვენებელი ორგანო. ესლა უნდა იყოს ჩვენს ღროში ჩვენს უდიდეს მკნებათ გამხდარი, უამისოდ ჩვენთაგანი ვერავინ წიგა წინ, ერთი მეორის დაჯაბნით ვერავინ რას მოიკვებს. ასეთ დროსა და გარემოებაში მყოფთათვის სამსახური ისე კარგად და აღვილად არავის შეეძლება, როგორც ისეთ პირს, რომელსაც ცხოვრების ყოველივე პირობება და გარემოებანი სრული აქვს და მასთან თვითაც სამაგალითოს სუფთას თვისებით არის სავსე. ცველა ეს პირობება და გარემოებანი იაკობში ფართოდ არის დამკვიდრებული და ამიტომ უფრო გვესიამოვნება მისგან მწერლობის სათავეზე დაფლობა და სამსახური. ვინატრება სულით და გულით, რომ იაკობ კონსტანტინეს დე ზუბალაშვილისაგან დაწყობილ საქმეს პრეზიდენტ მომავალი მიეცეს და მისი რუსული გაზეთის საქმეც ისევე გაბრწყინდეს, როგორც აღსდგა და გაბრწყინდა გაზეთ „ივერია“.

ამის სრული იმედი გვაქვს, რომ მისი გამოცება იქმნეს ერთი საუკეთესო გამოცემათაგანი და საუკეთესოდ მუარეველი და ქომაგი არმც თუ ერთის რომელიმეს გვარისა, არამედ თვითონეულის კაცის პიროვნებასაცა, უნდა მოგახსენოთ დასისრულ, რომ სტეფან კონსტანტინეს ძის შემდეგ, ჩვენმა საზოგადო საქმეთა არსებობამ კარგი მფარველი იპოვნა იაკობ კონსტანტინეს ძით. იაკობი ჯერეთ ახალ გაზრდა კაცია და რაც ხანში წიგა, იგი მით თავის აღამიანულს ლირსების ერთი ათად აღამაღლებს. იაკობისაჲ მოქმედებით ამალლოდება და გინსპერაციდება ის დიალი ჭეშმარიტი მცნება,

რისაც წარსულში მისი წინაპრები ადგნენ და ჩვენს დროში, თვით მისი დიდათ მოსიყვარულე სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი, რომელსაც ხალხის საყვარელი და სამსახურის სხივები თან გაჰყვნენ და ვინც ამ სოფლად დიად მცნებად დასტოვა იგივე საქმენი და ხალხის სამსახურის პატივისცემა ამ ასპარეზზედ, ანუ ბალხის სამსახურად, დღეს ჩვენ თამამად ვხედავთ ჩვენის ქვეყნის შვილს იაკობ კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილსა და გაუმარჯოს მას, იმყოფოს კარკად და ემსახუროს ისე როგორც ხალხისთვის სასარგებლო იქმნება და სამჯობინარი.

ეს გზა და სამსახური მანაც კარკად იცის, ამის მიხვედრის შემცნება თვით შანვე გამოაჩინა, რაც ჩვენ ცხადათ ესცანით, ესვე დაასაბუთა მის იმ საუბარმაც რაც კი მან ბაქოელ მუშათა შესახებ სთქვა და იგინი დიდს საბრალო მდგომარეობით დახატა, ამის შესახებ ჩვენ მის გამო სტეფანე კონსტანტინეს ძის „მოგონება“-ში ვრცლად ვისაუბრეთ და ამიტომ აქ დავამთავრებთ მით, რომ სტეფანე კონსტანტინეს ძე თუმცა უდროვოდ გარდაიცვალა, თუმცა იგი უდროვოდ მოშორდა მზესა და მთვარეს, თუმცა ბევრი რამ საქმის შეძლება ვერ აღისრულა და ვერ მოესწრა, მაგრამ მის ნაცვლად, მას დაშოგნ ძები და ნამეტურ იაკობ კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი, რომელიც თავის წილად კაცობრიულ ვალს დიდის სიყვარულით ასრულებს და შით ამთავრებს ყველა იმ სახურადო საქმეთა სისრულესაც, რის გაკეთებაც მის ძმას სტეფანეს სურდა. დიაბ, ყველა ამას იაკობი ამთავრებს წინათაც და მიტომ უფრო ვინატრებთ მის გამარჯვებას. ეს სხვებისთვისაც დიდი საყურადღებო უნდა იყოს.

დღვიანდელი მწერლობის სათავეში დგომით, იაკობ კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი მთელის კავკასიის მცხოვრებთ წინაშე კარგად გამოაჩინდება როგორც ერთი გულ შემ-

ტკიფარი და ვანათლებული პირი, როგორ ცუმალლესად შორს
მხედველი და ჰუმანიზატორი კაცობრიობის პატივისცემის შე-
სახებ.

დ ა ბ თ ლ თ ვ ე ბ ა.

წიგნში ჩვენ აქა იქ ვასაუბრეთ მასზედ, რომ XIX სა-
უკუნის შემდეგ, პირველ წლებსვე განითქვეს სახელი რუს-
თის მთავრობის და მთავარ-მართებლის წინაშე ივანე ზუბა-
ლაშვილმა, იაკობმა, გიორგიმ, დავითმა და სხვათაც. მათ
დაახლოვებული კავშირი აქვნდათ ყველა მოწინავე პირებ-
თან. ეს უტყუარი საბუთია და ამასვე ასაბუთებს ის პატივ-
სადები გარემოებაც, რომ ამ გვარის წევრთ საქართველოს
მთავარ-მართებელი ყოველთვის აქცევდენ დიდს სასოფლაო,
ანუ საფოღრაოთ საქმეებს. ასეთი ნდობა და პატივისცემა
ათი თითქმის 1870 წლებამდე გაგრძელდა.

იაკობ ივანეს ძე ზუბალაშვილის და ძმის ამისი გიორ-
გის მეტად დაახლოვებული პატივისმცემელი ყოფილა თვით
მრისხანე, საქავთველოს მთავარ-მართებელი მურავიოვი. მთა-
ვარ-მართებელს ნ. ნ. მურავიოვს ისეთი დაახლოვებული კავ-
შირი და ცნობა აქვნდა ზუბალაშვილების, რომ იგი ამათ
ესტუმრებოდა კიდეც, როგორც ეს ჭ. გორგი მოხდა, რასაც
მოწმობს თვით მურავიოვის წერილებიც კი რომელნიც მო-
თავსებულნი არიან რუსულს უკრანის „რუსსკი სტარინა“
გორის მაზრიდამ მურავიოვს ბევრი მცნობი ჰყვანდა და
პრაგიანტის მხრით პირველ ერთგულ პირებად გორის მცირდ
ზუბალაშვილები იყვნენ. რუს-ოსმალოს ომის დროს, თვითი
სიღამ საჭირო იყო 1000 ურმის შოვნა რომელთაც სურა-
თი უნდა გადაეტანათ თფილისიღამ საზღვრამდე. ათასი ურ-
მის შოვნა მთავრობას გრუშირდა დიდათ, მაგრამ გორის
მცირდი და ნამეტურ იაკობ ზუბალაშვილის და სხვა ასეთ
პირთა წყალობით ყოველივე შესრულდა, 1000 ურემი მალე

გამოეიდა. ამ გავლენას დადი მნიშვნელობა იქნა და სწორეთ ეს გარემოებაც გახლდათ, რომ მთავრობაც იცნობდა მათ გავლენას და მიტომაც ყოველთვის პატივს აკებდა და მათ შრომას ისე აფასებდა, რომ სახლშიაც ესტუმრებადა, ნახავდა და პატივსაც აძლევდა.

ზუბალაშვილების ოჯახში ერთსა და ორს მთავარ-მარ-ნებელის კი არ უსადგურნიათ. ხანხდისხან გორში და თფილის-შიც თვაზით მასვლა-მოსვლა ჰქონიათ. არავედ რამდენიმეს და თითქმის ყველა მთავარ მართებლებს თვით კავკასიას ბოლონ-დელ ნამესტნიკ მიხეილ ნიკოლოზის ძესაც, მაინც ძველ მთა-ვარ-მართებლებს თფილისის მოქალაქეებთან კარგი კავშირი და მეგობრობა აქვნდათ, მოქალაქენი და შეძლებულნი სოფ-დაკარნი მთავრობისთვის საჭირო იყვნენ, ამის გარდა დროც ისეთი სყო, რომ მოქალაქენი მათთან ყოველთვის ახლოს იდგნენ.

თფილისში, მთავრობის წინაშე, საღაც ცრთა და ორი პირი სჩანდა სახელგანთქმით და მოქალაქობით, იქ მათ შორის პირველი ადგილი ყოველთვის ზუბალაშვილებს ეკავათ. ქმარი ამის საბოთად თუნდ ის გარემოებითი პირობებიც, რომ ამას იხსენიებს «ზაპისკი მურავიოვისაც». აქ საქმე უმთავრესად ის გახლავსთ, რომ მოქალაქეთა და სოფლაგართა მთავრობასთან დაახლოებება იყო გასაღები ქართლის გლეხის კაცის და ნამეტურ ყმაა, იგი აღვიძებდა მათ შრომისთვის, ურმის სატარებლად და საქმის საკეთებლად, რასაც იგინი მთავრობის წინაშე აღვილად ჰპოვებდნენ. ქართლის ხამი გლეხ-კაცობა და ბატონთაგან შეშინებულნი ძრიელ ერი დებოლენენ სახელმწიფოდ ფუდრათების და საქმეების აღებას. ამის მხრით დიდი მნიშვნელობა და ადგილი უნდა დაეთმოს ივანე, გიორგის და ამათ მამა იაკობ ზუბალაშვილის შეცადინეობას.

ოდესმე რომ ამათი ცნობები შეიკრიბოს და დაიწეროს, იქ ესენი კარგს ამაგდარ პირებად გამოსჩენდებიან, იქ ამათი ლვაწლი მნიშვნელოვანი იქნება, მათს ჯილდოთ გამოჩენდება.

და კარგის ხსოვნით დაშთება ქართველ გლეხთა მფარველობა, მათი საქმიანობასთან შეჩვევა. თუ არ ასეთი სოცდაგრები და მათი მხნეობა გლეხთა სიტყვის მთქმელათ და წამხალისებლათ სხვა არავინ იყვნენ. ჩვენი დიდი სახლის შვალები გლეხთა და თვის ყმათა სამუშაյოთ არას ეტყოდნენ, მათ არც წაახალი-სებზნენ და არც ასწავლილნენ იმას შნოებას რომ გლეხები თავიანთი ხარ-კამეჩით სახელმწიფო საქმეებზედ მისულიყნენ, ემუშავნათ, ფული აელოთ და მერე მით თვითაც ესარგებლათ და ბატონისათვისაც მიეცათ წილი. ზოგი ბატონი თუ ეხმა-რებოდა გლეხებს და უჩნდა ისიც ისეთ შემთხვევაში, თუ მებატონე ან სამხედრო პირი იყო, ან სახელმწიფოდ რამე საქმე აქვნდა აღებული. აქ იგი თავის ყმებს ხარ კამეჩ-ლრმით თავის სასარგებლოდ ამუშავებდა, ყოველივე მას რჩებოდა, რის მაგალითი ერთ დროს თვით საქართველოს მთავარ-მარ-თებელიც კი იყო *). ამიტომ გლეხები იძულებულნი იყვნენ, ყოველს ასეთს საქმას დაშორებოდნენ.

ზუგბალაშვილები კი და მასთან ზოგნი სხვანიც ამ გარე-მოებას მკაცრად ეწინააღმდევებოდნენ, წინ უდგენოდნენ, ყმა გლეხებს იქვეზებდნენ სამუშაკოთ, ბატონებისაგან ნებას-საც აღებინებდნენ და სახელმწიფო საქმეებზედაც გაჰყვანდათ სამუშაოთ, რითაც იგინი მეტად დიდს სამსახურს უწევდნენ გლეხ-კაცობას. გლეხ-კაცობა თავის ურმით და ხარ-კამეჩით თავის სახლიდამ კარში გადიოდა, მგზავრობით ბევრ რამეს იძენდა, მასთან შრომის ფასსაც იღებდა და მერე ნამუშაკი და ფულებ მიღებული შინ ბრუნდებოდა. ამის მაგალითები მრავლად სჩანს მთელის კავკასიის გლეხ-კაცობის ცხოვრები-დამ „უკავკასიის იქტებს“ გარეშე სხვა შიგნებიდამაც.

მთავრობას ხშირად სჭირდებოდა მეურმეები და მუშაქნი, ხშირად ამას იგინი ვერ შოულობდნენ. გლეხ-კაცობა მათ არ ეკარებოდა, ეშინოდათ, ერიდებოდნენ ყოველს მათს საქ-

*) კავკასიის აქტები, 1835 წლის საქმეთა ნახვა.

მიანობას. ასეთ საქმეთა წინაშე ზუბალაშვილებს კარგი მნი-
შვნელობა და ხმა ჰქოდათ, იგინი ახალისებდლნენ გლეხ-კა-
ცობას საქმიანობისათვის. ამათი ასეთი შრომა თვით გლეხთა
გასამხნევებლად თვით მთავრობამაც კარკად იცოდა და ამი-
ტომ საქართველოს მთავარ-მართებლები არამც თუ მარტოდ
პატივს სცემდნენ ზუბალაშვილებს, არამედ სახლშიაც კი ეს-
ტუშრებოდნენ, როგორც ეს ხდებოდა საქართველოს მთავარ-
მართებელთაგან როგორც წინეთ ისევ შემდეგ და ნამეტურ
ნ. ნ. მურავიოვისაგან, რომელმაც 1885 წ. ზუბალაშვილე-
ბის გვარის წევრთ მეტად დიდი პატივი მიაპყრა და მად-
ლობაც გადაუხადა მრავალნაირად. თუმცა ჩვენ წიგნში ამა-
ზედ აქა-იქა გვაქვნდა ლაპარაკი, მაგრამ აქაც შევეხემ ამ გა-
რემოებას, რომ უფრო კარგად აგვენუსხა ის გარემოება თუ რა
დიდი მნიშვნელობა უნდა აქვნდეს მინიჭებული ზუბალაშვი-
ლების შრომას ქართველ გლეხ-კაცებთ ცხოვრების წინაშე.
სამწუხაროდ ჩვენ ასეთ საგანთა შესახებ კნობები არ გვაქვ-
ან ანუსხული, თორემ გლეხთა სამუშაკო და საფოდრათო მო-
ძრაობაზედ კარგი სასახელო საქმენი აღმოუჩნდებათ. ზუბა-
ლაშვილებს რომ გლეხთა საშრომლად კარგი არსებითი მნი-
შვნელობა უნდა ჰქონდესთ, ამას ასაბუთებს ამ გვარის წევრ-
თა ის პირობათა და სააღებ-მიცემო მხარეები, რომ ამათ
გვარის წევრთ საქართველოში მრავალად აქვნდათ პურის შა-
ლაზიები და მასთანვე სხვა საქმენიც დიდი და ფართონი რა-
საც თვით უმაღლესი მთავრობაც დიდს მნიშვნელობას და
ღირსებას აძლევდა. ამის სრული ნიშან წყალაა და თავმდები
თვით იაკობ ივანეს ძე ზუბალაძეილი და მისი სახლი კაცები,
რომელთაც თვით უმაღლესი მთავრობაც აძლევდა მნიშვნე-
ლობას და მთავარ-მართებელნიც.

ქართლელი გლეხი ამათის საშუალებით სწავლობდა ბევრს
რამე უცხოებას, სხვა და სხვა ქალაქებს, მგზავრობას, სამუშა-
ოს ფასს, გადა ჟან-გადმოტანას. თვალთ ხედვითვის წყალობით
სწავლობდა ხელოსნობას, ვაჭრობას. მათანდას ყველა საქონ-

ლის და სანოვაგის, ფულის მოხმარებას და დაზოგვას, მეურნეობის გაუმჯობესობას და კარგი ხარ-კამეჩის სყიდვას, ცხენების და მრავალიც სხვების, რაც გლეხი კაკის ოჯახისთვის 1860 წლებამდე სწორედ აღდგენას უნდა ჩაუთვალოს. აი ასეთი მნიშვნელობა აქვნდა ქართველ გლეხთა ოჯახის სასარგებლოდ ზუბალაშვილების შრომას და ამაგს წარსულში. ამიტომ აქვე ვათავსებთ მათ სავვაროვნო შტოსაც, რომელიც ახლად იქმნა შევტებული და მეორედ დიბეჭდილი.

94/99
b 256

